თავისუფლებავ, შენ ხარ ქაცთა ნათესაჟლარი!

რეფერენდუმი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№19. ივლისი 1990 წ. ფასი - 1 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საკოორდინაციო ცენტრისა და მრგვალი მაგიდის

განცხადება

1990 წლის 2 ივლისს 19 საათზე მწერალთა კავშირში შედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრისა და მრგვალი მაგიდის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან - ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი, გია ჟორჟოლიანი, რუსლან მიქაბერიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გურამ გოგბაიძე, ნუკრი ცისკაძე, რაულ კუპრავა. მრგვალი მაგიდიდან - თემურ ჟორჟოლიანი, თემურ ქორიძე, გოგი ხოშტარია, ავთანდილ რცხილაძე, თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, ზვიად ბოკუჩავა, ვაჟა ადამია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, გიორგი მარჯანიშვილი.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს დიალოგი საკოორდინაციო ცენტრსა და მრგვალ მაგიდას შორის უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-პოლიტიკური და მორალურ-ზნეობრივი პრობლემების ძირეული გარკვევისათვის. დიალოგის პროცესში, საერთო შეთანხმების მიღწევამდე, ან შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, დიალოგის შეწყვეტამდე შეწყდეს ორივე მხრიდან ურთიერთ საწინააღმდეგო, ურთიერთ განმაქიქებელი პასქვილებისა და წერილების გამოქვეყნება ოფიციალური პრესის ფურცლებზე. მოლაპარაკების პერიოდში ყურადღება გამახვილდება როგორც პოლიტიკური კონცეფციებისა და მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობის გარშემო, აგრეთვე უპირველეს ყოვლისა ზნეობრივი პრობლემების გარშემოც, რადგან საზოგადოებაში არაჯანსაღი კლიმატის გამომწვევი მიზეზი არის იმდენად არა მსოფლმხედველობრივი და აზრობრივი დაპირისპირება, რამდენადაც მორალურ-ზნეობრივი შეუთავსებლობა. მოლაპარაკების ყოველი რაუნდი გაშუქებული იქნება დეტალურად მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ.

მომავალი შეხვედრა საკოორდინაციო ცენტრისა და მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებს შორის გაიმართება 9 ივლისს, ორშაბათს ღამის 11 საათზე, მწერალთა კავშირში. შეხვედრების მიზანი არის ეროვნული ერთიანობის მიღწევა და მისი დამკვიდრება ჯანსაღ, ზნეობრივ, პოლიტიკურ და დემოკრატიულ საწყისებზე. ამისათვის უნდა შეიქმნას რეალური პირობები, რის გამოც საგანგებოდ უნდა იქნეს გარკვეული უახლოეს წარსულში დაშვებული ყოველგვარი ცდომილება და რაც მთავარია, საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს.

სედპ-ს აქცია

ამა წლის 21 ივნისს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია "ასკ"-ს სპორტული კომპლექსის საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციისათვის გადაცემის მოთხოვნით. აქციაში სედპ-ს წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები: რამაზ შენგელია, დავით მუჯირი, ალექსანდრე ჩივაძე, ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნოდარ ახალკაცი. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა და სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩივაძემ აღმართეს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა.

სედპ-ს მხრიდან აქციაში მონაწილეობდნენ: მერაბ იაშვილი, ჯონი უთალიშვილი, თამაზ გლუნჩაძე, ზურაბ ბასიშვილი, დათო გუცაშვილი, დათო ჭავჭანიძე, ზვიად კულუმბეგაშვილი, ზაზა რუხაძე, დათო მღებრიშვილი, მამედ გაზდელიანი.

◆ინტერვიუ

ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის
წევრთან ნოდარ ჭიპაშვილთან /სედპ/ - ესაუბრება კოტე ჩოგოვაძე

ნოდარ ჭიპაშვილი:

ეროვნული კონგრესი არჩეული იქნება

კ.ჩ. — თქვენ ხართ ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, მოკლედ გვიამბეთ კომისიის მუშაობის შესახებ.

ნ.ჭ. — ეროვნული კონგრესის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინტენსიური მუშაობა დაიწყო 30 ივნისს, როდესაც გაიმართა პირველი სხდომა. მანამდე ვერაფრით ვერ მოხერხდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქვორუმის შეკრება, რადგან მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები რეგსით თუ უნებლიეთ არასერიოზულად მოეკიდნენ ამ საკითხს. პირველ სხდომას საკოორდინაციო ცენტრში შემავალი ყველა ორგანიზაციისა და პარტიის წარმომადგენელი დაესწრო. საარჩევნო კომისიამ პირველ რიგში მიზნად დაისახა შეემუშავებინა საანკეტო ფორმა, რომლითაც მოხდება 10 000 ხელმოწერის შეგროვება, რაც აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ ორგანიზაციის არჩევნებში მონაწილეობისათვის.

კ.ჩ. — რას წარმოადგენს ეს ანკეტები?

ნ.ჭ. — ანკეტა შედგება შემდეგი პუნქტებისაგან: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, მისამართი და ხელის მოწერა. ეს ანკეტები დაურიგდებათ პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს, ხოლო შემდეგ კომპიუტერზე მოხდება ინფორმაციის დამუშავება. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევითი პრინციპით მოახდენს ამ ხელმოწერების შემოწმებას /მისამართებზე გასვლას და ა.შ./.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დღეს სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან გაერთიანებულია 30 კაცი. მის თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა, საარჩევნო კანონის თანახმად, შეიძლება გაიზარდოს.

ამ ეტაპზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის უპირველესი მიზანია მოახდინოს რაიონებში და სხვადასხვა ოლქებში საარჩევნო კომისიების შექმნა. ეს არის კოლოსალური სამუშაო, რადგან უნდა შეიქმნას 3 000 უბანი, რომლებსაც საერთო ჯამში უნდა ემსახურებოდეს სულ ცოტა 9000 კაცი.

კ.ჩ. — თქვენ გჯერათ, რომ ეროვნული კონგრესი აირჩევა?

ნ.ჭ. — თუ კონგრესის იდეა მივა ყველა ქართველამდე და მას ანტიპროპაგანდას არ გაუწევენ ის ძალები, რომლებიც ლეს ცდილობენ მის ჩაშლას, ეროვნული კონგრესი არჩეული იქნება.

კ.ჩ. — პარტიაში არიან პირები, რომლებიც თვლიან, რომ პარტიაში უნდა შეიქმნას ფრაქცია, რომელიც მიიღებს მონაწილეობას უზენაესი საბჭოს არჩევნებში. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

ნ.ჭ. — საქმე იმაშია, რომ პარტიის მთლიანობისათვის და ერთიანობისათვის მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ფრაქციებად დაყოფა. ჯერჯერობით ამ საკითხის შესახებ გამოცვეთილი აზრი არ არსებობს, მაგრამ ჩემი აზრით, ამაში მიუღებელი არაფერი არ არის.

კ.ჩ. — მაგრამ ეს ხომ ეწინააღმდეგება პარტიის პროგრამას?

ნ.ჭ. — ეს არ ეწინააღმდეგება პარტიის არც პროგრამას და არც წესდებას, რადგან მათი მიხედვით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისათვის მთავარია საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვება და თუკი არსებობს სხვა გზა, და ამ გზას ჰქვია ფრაქციულად რამდენიმე ჯგუფის პარლამენტში მონაწილეობა, თუ კი პარტია დარწმუნდება იმაში, რომ ამან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში რაღაც დახმარება შეიძლება გაგვიწიოს, რატომ უნდა ვთქვათ ამ გზაზე უარი?

კ.ჩ. — მაშინ საჭირო გახდება პარტიის რიგგარეშე კონგრესის მოწვევა.

ნ.ჭ. — ბრმად პრინციპების დაცვა მე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან მე ამაში კომპრომისს ვერ ვხედავ, როგორც იტყვიან მიზანი ამართლებს საშუალებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიქონიოთ პოლიტიკური მოქნილობა, რომ შექმნილ სიტუაციაში და დროის რაღაც მონაკვეთში გამოვდივართ არა შიდაპარტიული, არამედ სრულიად საქართველოს ინტერესებიდან. ჩვენ შეიძლება მოგვიხდეს პოლიტიკის ვარირებაც.

კ.ჩ. — რაც შეეხება აგიტაცია-პროპაგანდას, როგორ მიდის ამ კუთხით საქმე?

ნ.ჭ. — ამაზე თვითონ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ, უნდა გავიდნენ რაიონებში და თავიანთი პროგრამები წარუდგინონ მოსახლეობას. 18 ივლისიდან ფაქტიურად უნდა დაიწყოს წინასაარჩევნო კომპანია.

კ.ჩ. — არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა არჩევნების გადატანა, თქვენ რას გვეტყოდით ამის შესახებ?

ნ.ჭ. — არის ასეთი მოსაზრება, რომ ფიზიკურად და ტექნიკურად არჩევნების მომზადება და მოწყობა დარჩენილ ვადაში ძალიან ძნელია, მაგრამ მე მწამს და მჯერა, რომ თუკი ჩვენ პასუხისმგებლობით მივუდგებით ამ საქმეს, 30 სექტემბერს შევძლებთ არჩევნების ჩატარებას. მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად კონგრესის არჩევნების გადატანა უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ. შეიძლება კონგრესის არჩევნები გადატანილ იქნას 15 ან 20 ოქტომბრისთვის - იმ თარიღამდე, როცა დანიშნულია უზენაესი საბჭოს არჩევნები, რადგან ეროვნული კონგრესის არჩევნებმა აუცილებლად უნდა დაასწროს უზენაესი საბჭოს არჩევნებს.

30 სექტემბერი ეროვნული კონგრესის

არჩევნების დღეა

ეროვნული თანხმობა
არჩევნების გზით

ინფორმაცია

1990 წლის 5 ივლისს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში გაიმართა სედპ-ს თბილისის კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი წერეთელი. განხილული იქნა პარტიისა და ეროვნული მოძრაობის წინაშე მდგარი საკითხები. უპირველესი სტრატეგიული პრობლემა არის ეროვნული კონგრესის არჩევნები. დღის წესრიგში დააყენეს საქართველოს ყველა რაიონში საარჩევნო კომისიების შექმნის აუცილებლობის საკითხი. სედპ-ს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ვ.ხომერიკმა დაასახელა ის პიროვნებები, რომლებიც რაიონებში ჩავლენ და სედპ-ს რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად შექმნიან ეროვნული კონგრესის საარჩევნო კომისიებს.

სხდომაზე განხილული იქნა სოციალური პრობლემები, რომლებიც საქართველოში გამწვავდა განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში. კერძოდ, ბენზინის უკმარისობამ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ირაკლი წერეთელმა დაასახელა კონკრეტული ფაქტები მკვლელობებისა, რაც ბენზინის უკმარისობით გამოწვეული უკმაყოფილების შედეგია. ხალხს ნერვები დაწყვეტაზე აქვს იმ საშინელი პირობების გამო, რომელიც შექმნა კომუნისტურმა რეჟიმმა, რათა ხალხი დამცირებული და ბრძოლის უუნარო მდგომარეობაში ამყოფოს.

ამიტომ გადაწყდა აქციის გამართვა მოთხოვნით, რომ საქართველო უზრუნველყოფილი იქნას სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებით.

გია თვალავაძე

საარჩევნო კომისიის წევრებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ალბათ დიდი ხანია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაში არ ყოფილა აზრთა ისეთი პოლარული დაპირისპირება, როგორსაც ადგილი ჰქონდა სედპ-ს საგანგებო კრებაზე, რომელიც ამა წლის 30 ივნისს გაიმართა. აქ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრმა თამაზ ჭორჭოლიანმა ეროვნული კონგრესის არჩევნების გადადება და საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბების წინადადება წამოაყენა. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ინტერვიუს მასთან, რომელიც მოამზადა კოტე ჩოგოვაძემ

თამაზ ჭორჭოლიანი:

სედპ-ში უნდა შეიქმნას საპარლამენტო ფრაქცია

კ.ჩ. გთხოვთ ორიოდე სიტყვით გვითხრათ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაში თქვენი შესვლის შესახებ.

თ.ჭ. ჩემი დაახლოება დამოუკიდებლობის პარტიასთან მოხდა 1989 წლის 25 თებერვალს, როდესაც პირველად იქნა დეკლარირებული პარტიის პროგრამა ფართო საზოგადოების წინაშე. ამის შემდეგ, 26 თებერვალს, მე შევხვდი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებს და გადავწყვიტეთ, რომ ზუგდიდში ჩამოგვეყალიბებინა სედპ-ს საინიციატივო ჯგუფი. მისი დაფუძნება უნდა მომხდარიყო 9 აპრილს, მაგრამ სამწუხაროდ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეს არ მოხერხდა და პარტიის დაფუძნება მოხდა აპრილის შუა რიცხვებში.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, მე რესპუბლიკელი გახლავართ. და სწორედ ამიტომ შევედი დამოუკიდებლობის პარტიაში, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სწორედ ამ მსოფლმხედველობაზე დგას.

კ.ჩ. რამდენ კაცს აერთიანებს სედპ-ს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია? მისი სტრუქტურა, საქმიანობა, დამოკიდებულება მრგვალი მაგიდისადმი და საერთოდ პოლიტიკური ვითარების შესახებ.

თ.ჭ. პარტიის ნამდვილი წევრი ზუგდიდში არის 50 კაცი, რა თქმა უნდა, კანდიდატები და მოკავშირეები გაცილებით ბევრია, ამას გარდა, ზუგდიდში ჩვენს პარტიას ძალიან ბევრი მომხრე და მხარდამჭერი ჰყავს, რაც შეეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას პარტიაში არჩეულია კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით, თავმჯდომარეა - ბატონი ზვიად კიტია.

რაც შეეხება პარტიის საქმიანობას: *საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი ფაქტიურად, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და პოპულარული ორგანიზაციაა* დღეს ეგრისის რეგიონში, ამიტომ, ყველა ის აქცია, რომელიც საქართველოში ჩატარდა პარალელურად ტარდებოდა ზუგდიდშიც და გარდა ამისა, პარტიის ზუგდიდის კომიტეტი დაკავებული იყო ადგილობრივი, რეგიონალური პრობლემებით; ეკოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური საკითხები ფაქტიურად მნიშვნელოვანწილად გადადიოდა და გადადის ჩვენი პარტიის ზურგზე.

კონკრეტულად, ჩვენ გავილაშქრეთ ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგ, ამის შემდეგ ზუგდიდში უნდა აშენებულიყო სამხედრო უწყების ქარხანა "ვექტორი" საკავშირო თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებით და არავინ არ იცოდა თუ მას რა პროფილით უნდა ემუშავა. ჩვენ მის აშენებასაც წინ აღვუდექით. აგრეთვე მინდა გავიხსენო 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული ამბები, სადაც ზუგდიდის სედპ-ს რეგიონალურმა ორგანიზაციამ ზუგდიდის მოსახლეობასთან და მთელ ქართველ ხალხთან ერთად აქტიური როლი ითამაშა მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში. ამის შემდეგ, პატიმრობაში აყვანილი იქნენ სხვადასხვა საზოგადოებათა წევრები, ქართველი პატრიოტები და მათ მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მათ ეღოდათ 6-დან 12 წლამდე პატიმრობა. ჩვენი აქტიური ჩარევით მოხდა ის, რომ ეს პატრიოტები განთავისუფლებულნი იყვნენ და მათ მიმართ შეწყვეტილია სისხლის სამართლის საქმე. დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის ფილიალი აქტიურად ჩაება საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისადმი ბოიკოტის კომპანიაში. გარდა ამისა, ჩავატარეთ მთელი რიგი აქციებისა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას მრგვალ მაგიდასთან და სხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, მე მინდა ჩვენდა სასახელოდ ვთქვა, რომ მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, ზუგდიდში ისე არ გაგვიმწვავებია მდგომარეობა, როგორც ეს ხდებოდა თბილისში, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თბილისში ხშირად ზღვარსაც იყო გადაცილებული ეს ურთიერთდაპირისპირება. ჩვენ ზუგდიდში შევძელით ჩამოგვეყალიბებინა ერთიანი საკრებულო, სადაც გაერთიანებულია აბსოლუტურად ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია.

კ.ჩ. როგორი ურთიერთობა გაქვთ აღგილობრივ ადმინისტრაციასთან?

თ.ჭ. აღგილობრივ ადმინისტრაციასთან ჩვენ ვავმყარდა ძალიან დაპაბული ურთიერთობა, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ. ამ დროს ზუგდიდში დააპატიმრეს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წევრები. საინტერესოა, რომ დაპატიმრება მოხდა შუაღამისას, მოვიდნენ ჩემთანაც, მაგრამ მე შევძელი მათი ხელიდან დასხლტომა.

მეორე დღეს ჩვენ გავფიცეთ ფაიფურის ქარხანა, რასაც შეუერთდნენ სხვადასხვა საწარმოები. 10 აპრილს ზუგდიდში დაიწყო მასიური გაფიცვა, 100 კაცი დავჯექით საშიმშილოდ. ხელისუფლება იძულებული გახდა დაპატიმრებული პატრიოტები გაენთავისუფლებინა. ჩვენს შორის ამის შემდეგ ურთიერთობა ძალზედ დაიძაბა და ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ მოხდა აქცია, რომლის შედეგადაც შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ აქვე მინდა განვმარტო ჩვენი პარტიის პოზიცია: როდესაც მოითხოვეს ხელისუფლების შეცვლა, მაშინ ჩვენ საკუთარი პოზიცია დავიჭირეთ და მოვითხოვეთ შეცვლილიყო ბიუროკრატიული ადმინისტრაცია და მონოპარტიული მმართველობის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩვენ ხალხის გვერდით ვიდექით და აქტიურად ვუჭერდით მას მხარს.

ხელისუფლებასთან ჩვენი დამოკიდებულება დღესაც უარყოფითია, მაგრამ არა ისე, როგორც ეს იყო 9 აპრილის შემდგომ პერიოდში. უბრალოდ, ახლა ჩვენ ვახდენთ აქტიურ დაწოლას, რათა ბევრი ისეთი მოთხოვნა შეასრულებინოთ, რასაც საკუთარი სურვილით არ აკეთებს. ერთი სიტყვით, ვცდილობთ სიტუაციის გაკონტროლებას.

კ.ჩ. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ზუგდიდში ჩავიდა ირაკლი წერეთელი და ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრა ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ, ამის შემდეგ ზუგდიდელებს ესაუბრა ზვიად გამსახურდიაც. როგორ შეხვდა მათ შეხედულებებს ხალხი?

თ.ჭ. საბედნიეროდ, ზუგდიდის საზოგადოება არის ის საზოგადოება, რომელიც ბრმად არავის არ გაჰყვება და მე შევამჩნიე, როდესაც ბატონი ირაკლი იყო ჩამოსული მას ძალიან დიდი ინტერესით უსმენდნენ. ასეთივე სიტუაცია სუფევდა ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის დროსაც. ძალიან კარგი იყო, რომ ისინი ჩამოვიდნენ თავიანთი პოზიციებით, რადგან ხალხს მიეცა საშუალება უშუალოდ მოესმინათ მათი შეხედულებები და ალბათ საზოგადოება გააკეთებს სწორ არჩევანს. ჯერჯერობით კი არიან ორივე აზრის მატარებელი ჯგუფები.

კ.ჩ. თქვენ შემოხვედით ახალი წინადადებით ეროვნული კონგრესის არჩევნების თაობაზე.

თ.ჭ. მინდა განგიმარტოთ, რომ ამის შესახებ მე მაქვს ჩემი აზრი, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ჩემი შეხედულება, ეს არის ზუგდიდის კომიტეტის აზრი, რომ 30 სექტემბრის არჩევნები გადატანილ უნდა იქნას. რაც შეეხება უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ჩვენი მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია: რომ სედპ-ში უნდა შეიქმნას საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. ჩვენი რწმენით, არცერთ შემთხვევაში, უზენაესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტი არ უნდა გამოეცხადოს.

კ.ჩ. როგორ გამოეხმაურა ამ განცხადებას მთავარი კომიტეტი?

თ.ჭ. როგორც მე შევნიშნე, პარტიაში, ისევე როგორც მთავარ კომიტეტში ბევრი დაეთანხმა ამ აზრს, მაგრამ რაც შეეხება კრებას, ეს იყო მათთვის მოულოდნელი რამ და ისინი უბრალოდ მომზაღებულნი არ იყვნენ საფუძვლიანი კამათისათვის ამ საკითხის გარშემო.

კ.ჩ. თქვენი აზრით ალბათ აუცილებელია რიგგარეშე კონგრესის მოწვევა და საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება.

თ.ჭ. პარტიაში არიან ოპონენტები, რომლებიც უარს ამბობენ საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ პარტიის I კონგრესზე აიკრძალა ფრაქციულობა. მე მაშინ ვითხოვდი, რომ ეს მუხლი არ შესულიყო წესდებაში, რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩვენ მაშინ კარგად არ გვქონდა გაცნობიერებული თუ რას ნიშნავს ფრაქცია. და მე მეტსაც გეტყვით ჩვენ დაშინებული ვიყავით, ერთი კერძო შემთხვევით, რაც არ იყო ფრაქციის გამოყოფა, არამედ ეს იყო ახალი პარტიის შექმნა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ყოფილი წევრის მიერ. ავკრძალეთ რა ფრაქცია, ჩვენ გამოვიჩინეთ გარკვეული პოლიტიკური სიბეცე. თუ საკითხი დაიგება ისე, რომ სედპ-ში შეიქმნას ფრაქცია ამისათვის საკმარისია ჩვენი წესდების შესაბამისად მოვიწვიოთ რიგგარეშე კონგრესი და დავსვათ ფრაქციის არსებობის ან არარსებობის საკითხი.

სედპ-ს საგანგებო შეკრებაზე 30 ივნისს, როდესაც მე გამოვთქვი ჩემი აზრი ბევრმა ეს გაიგო ისე, თითქოს მე შეურიგებელი ოპოზიციის არსებობის მომხრე არა ვარ, მაგრამ ეს არ არის ასე, მე მომხრე ვარ იმისა, რომ არსებობდეს იმდენად ძლიერი შეურიგებელი ოპოზიცია, რომ მას უნდა გააჩნდეს იმის ბალა, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოში უნდა შესძლოს ძლიერი აქციების მოწყობა, მაგრამ ამასთანავე *ჩვენი ტაქტიკა იქნება ცალმხრივი და მოუქნელი, თუ უგზენაეს საბჭოში არ გავიყვანთ ჩვენს წარმომადგენლებს.*

„სუკ" გრიმის გარეშე

/სუკ-ის აგენტის აღსარება/

16 ივნისს "სკკპ დემოკრატიული პლატფორმის" კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სუკ-ის საგარეო კონტრდაზვერვის სამმართველოს ყოფილი უფროსი /1973-1980წ/, ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის „სუკ"-ის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე /1980-1987წ/, 1990 წლის თებერვლიდან კი თადარიგში მყოფი, საპატიო ჩეკისტი, 22 სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოს კავალერი, „სუკ"-ის გენერალ-მაიორი ო.კალუგინი. /დაბ. 1934წ/.

ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის /ინგლისური ენის სპეციალობით/ დამთავრების შემდეგ კალუგინმა მუშაობა დაიწყო „სუკ"-ში. 1958 წელს იგი სტაჟირებისათვის გაიგზავნა კოლუმბიის უნივერსიტეტში /აშშ/. ვინაიდან ქართულ პრესაში ჯერჯერობით ო.კალუგინის შესახებ არაფერი გამოქვეყნებულა, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მცირედი შემოკლებით ვბეჭდავთ მის სიტყვას, რომელიც, ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.

1979 წელს, როდესაც მე ვიყავი საგარეო კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე, დავიცავი ერთი დაპატიმრებული მოქალაქე, უცხოელი მეცნიერი, რომელსაც ტყუილუბრალოდ ჰქონდა მისჯილი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიდა ჩვენს ბანაკებში და რომლის დაპატიმრებისთვისაც მე მორალურად ვიყავი პასუხისმგებელი, რადგან მისი სსრკ-ში ყოფნა განპირობებული იყო ჩემი მოლვაწეობით. კეთილი განზრახვით, ამავე საკითხით, იმ დროს, დაინტერესდა ევგენი პრიმაკოვიც, მაგრამ დროულად შეჩერდა. ცნობისათვის: ეს მოქალაქე პატიმრობაში აყვანილი იყო არტიკვარული საქონლით სპეკულაციის ბრალდებით. სინამდვილეში კი იგი უნდოდათ დაეჭირათ როგორც ცსს-ს* აგენტი, მაგრამ რადგან ეს ვერ მოახერხეს, სპეკულაცია დააბრალეს, რაც ასე დამახასიათებელია ჩემი ყოფილი ორგანიზაციისათვის.

ამის გამო, 1980 წელს ამხ. ანდროპოვმა, მაშინ ჯერ კიდევ „სუკ"-ის თავმჯდომარემ, გამგზავნა ლენინგრადში, რადგან ჩათვალა, რომ მე წყაღი ავამღვრიე და სანამ ყველაფერი არ დაწყნარდებოდა იქ უნდა დავრჩენილიყავი. ხოლო იმისათვის, რომ მე არ გავნაწყენებულიყავი გამიხადეს ლენინგრადის „სუკ"-ის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, მომცეს ნომენკლატურული დეპუტატობა ლენინგრადის საოლქო საბჭოში.

1986 წელს, გავეცანი რა რომანოვის, გაიკოვის, სოლოვევის მოლვაწეობას და ლენინგრადის „სუკ"-ის საქმიანობას მე დავწერე წერილი ცკ-ს სახელზე ვიმედოვნებდი, რა, რომ იქ ყველაფერს გაარკვევდნენ და მიიღებდნენ ზომებს.

გამოიგზავნა ცკ-ს კომისია, რომელმაც "ვერ იპოვა" ჩემს მიერ მხილებული ფაქტები. და უკვე 1987 წლის თებერვალში სასწრაფოდ გადამიყვანეს ლენინგრადიდან მოსკოვში. მე მივმართე წერილობით ამხ. გორბაჩოვს, რომელშიც გამოვხატე ჩემი შეხედულებანი „სუკ"-ში 30წლიანი მუშაობის შესახებ - ამ ორგანიზაციის როლზე და ადგილზე ჩვენ საზოგადოებაში.

მე ვწერდი იმის შესახებ, რომ ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობდნენ დიდ საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც იცავს ათეულ ათასობით მესაზღვრე, რომ ჩვენი „სუკ"-ის კონტიგენტი რაოდენობით სჭარბობს ევროპის, ამერიკის და აზიის /ჩინეთის გამოკლებით/ უშიშროების სამსახურებს ერთად აღებულს.

მართალია, უკანასკნელ ხანებში „სუკ"-მა ნაწილობრივ იცვალა სახე, მაგრამ ეს არის კოსმეტიკა, ფერუმარილის წასმა სტალინურ-ბრეჟნევურ სახეზე. ფუძე, მეთოდები, პრაქტიკა ძველი დარჩა. ეს არის აგენტურის შეგზავნა პოლიტიკური მეტოქეების ორგანიზაციებში, ეს მოძრაობათა აქტივისტების დისკრედიტაცია და ორგანიზაციათა ნეიტრალიზაციაა.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კეთდება სკკპ-ს, უფრო სწორად პოლიტბიუროსა და ცკ-ს სექტორების ხელმძღვანელობით, რომლებიც თაობათა ცვლის მიუხედავად აგრძელებენ ამ საქმიანობას. ყველანი - ეჟოვიდან, კრიუჩკოვამდე აპარატიდან მოსულები არიან, იყვნენ და რჩებიან იმ სისტემის ნაწილად, რომელსაც თანამედროვე იდეოლოგიურმა აზროვნებამ დაარქვა ბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემა.

70 წლის განმავლობაში პარტია გამოდიოდა ლოზუნგით - ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმს! „ჩეკა", - „სუკ"-ი ამას ასე შიფრავდა: ბრძოლა საგღვარგარეთულ სპეცსამსახურებს, მტრულ ემიგრაციას, რადიო "თავისუფლების" ხმას, ტროცკისტებს, მაოისტებს, მასონებს, სხვა ორგანიზაციული და სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს - ჩვენი პარტიული ხელმძღვანელების კაპრიზების შესაბამისად.

დღეს პარტიამ, როგორც იცით, მოიცილა მრავალი ლოზუნგი, დაკავშირებული საერთაშორისო იმპერიალიზმთან და კლასობრივ ბრძოლასთან, გამოაცხადა საერთო სახალხო ფასეულობანი.

რა უნდა ქნას ამ სიტუაციაში ორგანიზაციამ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში დაკავებული იყო გარკვეული ობიექტებით და მანიპულაციას უწევდა უზარმაზარ კონტიგენტს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ? რა უნდა აკეთოს მან ახლა? მინდა აღვნიშნო, რომ ამან შიგნით აპარატში მიგვიყვანა განსაზღვრულ დანაწევრებამდე და დემორალიზაციამდე, რა უნდა ქნას ორგანიზაციამ, რომელსაც არ სჩვეოდა აზროვნება, რომელიც აღზრდილი იყო ბრძოლისათვის ყველა სხვაგვარად მოაზროვნეთა და პარტიული ძალების ყველა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ?

ამ სიტუაციაში „სუკ"-ის თანამშრომელთა ნაწილმა დაიჭირა მემარცხენეთა პოზიცია, თუმცა მრავალი მათგანი სდუმს. უფრო დიდი ნაწილი კი წავიდა მარჯვნივ, გახდა კონსერვატორული ძალების დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით პარტიულ აპარატში.

თქვენ შეხედეთ დღევანდელ მოვლენებს სახელმწიფო უშიშროების პრიზმიდან. სად იყვნენ „სუკ"-ის ორგანოები სუმგაითის, ფრუნზეს, თბილისის მოვლენების დროს? სად არის მათი როლი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებაში ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?

ის, ვინც თვლის, რომ ორგანოები დასუსტდნენ, ღრმად სცდებიან. ყველას, ვისაც არ სურს გამოეთხოვოს "პრინციპებს" შეუძლია მშვიდად იძინოს: ორგანოებმა მთლიანად შეინარჩუნეს თავიანთი პოტენციალი.

* *ცენტრალური საგაზვერვო სამმართველო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სუკ"-ი დღესაც რჩება ქვეყანაში ყველაზე უფრო ჩაკეტილ ორგანიზაციად. თუმცა იქაც არიან გამომძაღვეელები, მკვლელები, კონტრაბანდისტები, ყველა ჯურის დამნაშავეები და ამის შესახებ უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ.

მიდის აქტიური ბრძოლა პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მათ ორგანიზაციებში ჩვენი აგენტების შეგზავნა ან მათი წევრის გადმობირება. მოძრაობის აქტივისტების დისკრედიტაცია და ბოლოს მისი შიგნიდან დაშლა. ჩვენ ხომ დღემდე აქტიურად ვიყენებთ მეფის ოხრანკის უფროსის ზუბატოვის დარიგებას აგენტურასთან მუშაობის შესახებ. ეს ის დოკუმენტაციაა, რომელშიც მთლიანადაა გათვალისწინებული ის, რასაც ჩვენ ადამიანურ ფაქტორს ვუწოდებთ: "თუ თქვენ გინდათ გყავდეთ კარგი აგენტი, უნდა იზრუნოთ მის ჯანმრთელობაზე, ოჯახზე, დაეხმაროთ სამსახურში წინ წაწევაზე... პოლიციის ოფიცერმა მას უნდა შეუცვალოს დედაც და მამაც..."

ჩვენთან არიან ორი კატეგორიის უშტატო დამხმარეები: აგენტები, რომლებიც აკეთებენ შესაბამის ხელმოწერებს და რეგულარულად საჩუქრდებიან მუშაობისათვის და ასე ვთქვათ ნდობისმქონე პირები, რომლებსაც ორგანოების წინაშე არ გააჩნიათ რაიმე ფორმალური ვალდებულებები. მათი სამსახური ფასდება საკმაოდ ტაქტიანად, ვთქვათ დაბადების დღეს ფასიანი საჩუქრით, ბინის მოლებაში დახმარებით და ა.შ.

ამასთანავე „სუკ"-ი არ განიცდის მატერიალურ *სირთულეებს*. მე არ შემიძლია დაგისახელოთ ჩვენი ბიუჯეტი, მაგრამ მერწმუნეთ, მანეთსაც და დოლარსაც ჩვენ ვიღებთ სახელმწიფო საღაროდან იმდენს, რამდენსაც მოვითხოვთ. ჩვენს ბიუჯეტს ამტკიცებს ცკ, უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე.

როგორც ცნობილია, კანონით, აკრძალულია სატელეფონო საუბრების მოსმენა, მაგრამ მე როდესაც ვმუშაობდი ლენინგრადში შემეძლო სანქცია გამეცა ნებისმიერი ტელეფონის მოსასმენად, მაგრამ უნდა აღვნიშნო ეს საკმაოდ ძვირადღირებული საქმეა.

„სუკ"-ის შემადგენლობაში არის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც დასაქმებულია დეზინფორმაციის გავრცელებით. იგი დისკრედიტაციას უწევს ცალკეულ ადამიანებსა და ორგანიზაციებს, ანონიმური ფურცლებისა და ჭორების გავრცელებით. გარკვეული ვერსიით ირჩევა და დასავლეთელ კორესპოდენტს მიეცემა მასალები შემდეგ კი მათ ვკითხულობთ ჩვენს გაზეთებში, საზღვარგარეთული ბეჭდვითი ორგანოებიდან გადმობეჭდილს.

მე გთავაზობთ „სუკ"-ის დეპოლიტიზაციასა და *დეიდეოლოგიზაციას*, მათ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებას, მის მთლიან რეორგანიზაციას და 50%-ით შემცირებას. მე გთავაზობთ უკანონო მოსმენის პრაქტიკის ლიკვიდაციას, *იმ სტრუქტურების* გაუქმებას, რომლებიც მუშაობენ ქვეყანაში და საზღვარგარეთ დეზინფორმაციის გავრცელებაზე, და ბოლოს იმ პოტენციალის: ლიკვიდაციას /იგი „სუკ"-ს კვლავ გააჩნია/, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

აი ძირითადად იმის შესახებ, რაც მე მინდოდა მეთქვა ჩემი პოზიციის შესახებ, და რასაც იზიარებს სუკ-ის ზოგიერთი თანამშრომელი.

მოამზადა ვაჟა ქუნთელიამ

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲡᲣᲤᲗᲐᲐ...

განაცხადა ო.დ.კალუგინმა, როდესაც მას ჩამოართვეს სახელმწიფო ჯილდოები, პრეზიდენტ მ.გორბაჩოვის, სუკ-ის თავმჯდომარის განკარგულებით. მას აგრეთვე ჩამოართვეს გენერლის პენსია და *გადაიყვანეს* "*ალდათის*" პენსიაზე, რომელიც შეადგენს თვეში 12 მანეთს. მისი შემოსავალი მომავალში განისაზღვრება თანამშრომლობით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ასოციაციაში, მაგრამ ასოციაციის ხელმძღვანელობა დაშინებული სჩანს ამგვარი საქმის მიმდინარეობით. არ არის გამორიცხული, რომ მას ემუქრება „სუკი" სიკვდილით დასჯით, ო.დ.კალუგინმა ამის შესახებ სთქვა, რომ სუკი, შესაძლებელია, ყველაფრისთვის მზად არის, მაგრამ ამის განხორციელება ჯაუჭირდება, რადგან ჩემს მხარეს არის საზოგადოებრივი აზრი და მხარდაჭერა ჩემი ყოფილი თანამშრომლებისა. მიუხედავად მოსალოდნელი რეპრესიებისა, საჭირო შემთხვევაში, ისინი ჯააკეთებენ ანალოგიურ მხილებებს.

ᲑᲔᲜᲐᲖᲘᲠ ᲑᲮᲣᲢᲝ

"გაბედულად მიიღე გამოწვევა. იბრძოლე, თუნდაც გამარჯვების შანსი არ გქონდეს, დაამარცხე ეტერი" - ასე მიმართავდა თავის ქალიშვილს ზულფიკარ ალი ბხუტო, პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც სიცოცხლე სახრჩობელაზე დაასრულა.

ბენაზირი ოთხი შვილიდან ყველაზე უფრო ახლობელი იყო მამისათვის. ზულფიკარი მას ოცნებებში თავისი საქმის გამგრძელებლად ხედავდა და ამიტომ ახალგაზრდობაშივე გააცნობიერა პოლიტიკაში.

ბენაზირი თავის მხრივ აღმერთებდა მამას. მხოლოდ მას აძლევდნენ უფლებას ენახულა მამა სიკვდილმისჯილთა საკანში. "მე დავიფიცე, რომ გავაგრძელებ მის ბრძოლას", - იგონებდა ბენაზირი.

მას შემდეგ გავიდა 9 წელიწადი და 1988 წლის 2 დეკემბერს პრეზიდენტის სასახლის მთავარ დარბაზში ხანმოკლე ცერემონიალის დროს ქვეყნის პრეზიდენტმა გულიამ ისხაკ ხანმა ბენაზირისაგან მიიღო ფიცი და *აკურთხა* იგი ვაზირ-ე-აზამად-პრემიერ-

მინისტრად. ეს იყო ღირსშესანიშნავი მომენტი. პირველად, არა მარტო პაკისტანის, არამედ მთელი მუსულმანური სამყაროს ისტორიაში, ქვეყნის მინისტრთა კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ქალი. ზულფიკარის იმედი /თუ ფანტაზია/ რეალობად იქცა. ისე როგორც ზლაპარში სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე.

სამხედროების მიერ შექმნილმა რეჟიმმა სრული ფიასკო განიცადა და სახელმწიფოს სათავეში მოექცა 35 წლის ქალი სახელად ბენაზირი.

ეს ფაქტი აღბათ არც მოხდებოდა, რომ ბენაზირი ბხუტოების გვარის წარმომადგენელი არ ყოფილიყო. ვერაგულად მოკლული ქვეყნის ხელმძღვანელის ქალიშვილი ყოველთვის იწვევდა ხალხში სიმპათიებს, განსაკუთრებით ღარიბთა შორის.

ბენაზირი ჯერ კიდევ ბავშვობაში შეიყვანეს ერთ-ერთ ქრისტიანულ მონასტერთან არსებულ მისიონერთა სკოლაში, ხოლო შემდეგ სასწავლებლად გაგზავნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რედკლიფის უნივერსიტეტში /რომელიც დღეს ჰარვარდის უნივერსიტეტს ეკუთვნის/. რედკლიფის შემდეგ - ბრიტანეთი, სახელგანთქმული ოქსფორდი, სადაც სწავლობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, აბარებდა გამოცდებს ფილოსოფიაში, ეკონომიკაში. ოქსფორდში იგი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის სადისკუსიო კავშირის პრეზიდენტად, ბენაზირი ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა თავისი ორატორული მონაცემებით.

მაგრამ მის პირველ პოლიტიკურ გამოცდად 1977 წელს სამშობლოში პარტიული აქტივის წინაშე გამოსვლა იქცა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მამამისი დააპატიმრეს პოლიტიკური მკვლელობის ბრალდებით. ბენაზირი მაშინვე აღმოჩნდა ორთაბრძოლის ეპიცენტრში. უშიშროების სამსახური "ყურადღებას" არ აკლებდა ბენაზირსა და მის დედას ნუსრატს, იმ პერიოდში არც ციხე და საპატიმრო წარმოადგენდა მათთვის უცხო ხილს.

1984 წელს შესაძლებელი გახდა ნებაყოფლობით საზღვარგარეთ გასვლა. ბენაზირი გადაფრინდა ინგლისში და ყურის სასწრაფო *ოპერაციის* გაკეთების შემდეგ, ლონდონიდან იწყებს პაკისტანის სახალხო პარტიის /პსპ/ ხელმძღვანელობას.

დიქტატურაზე შურისძიების სურვილმა ბრძოლაში ჩართო ბენაზირის ორი ძმა, მაგრამ ისინი მოექცნენ პოლიტიკურად ჩამოუყალიბებელი იმ ახალგაზრდების გავლენის ქვეშ, რომლებიც ოცნებობდნენ სამხედრო მოქმედებებზე. ყოველივე ამან ძმები მიიყვანა ტერორისტულ აქტამდე - მათ გაიტაცეს პაკისტანის სამოქალაქო თვითმფრინავი. ხელისუფლება იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე გამტაცებლების წინაშე და გააანთავისუფლა რამოდენიმე ათეული პოლიტპატიმარი, მაგრამ ეს ფაქტი იქცა საბაბად იმისა, რომ გენერლებს ჩაეტარებინათ მკაცრი რეპრესიები სინდის პროვინციაში.

შემდეგ წელს ბენაზირი ჩამოვიდა სამშობლოში. მიზეზი ტრაგიკული იყო - საფრანგეთში, კანში მკვდარი იპოვეს მისი უმცროსი ძმა შახ ნავაზი. როგორც შემდეგ გამოირკვა იგი მოწამლეს. სახალხო პარტიის მომხრეებმა ზია-ულ-ხაკის აგენტებს ბრალი დასდეს მკვლელობაში, მაგრამ ეს ვერსია მათ ვერ დაამტკიცეს. ბენაზირი კი, ძმის დაკრძალვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა, დააპატიმრეს. თუმცა იგი მაღე გაანთავისუფლეს და საზღვარგარეთ წასვლის ნება დართეს.

1986 წელს, როცა პრეზიდენტმა ზია-ულ-ხაკმა განაცხადა სამოქალაქო მმართველობის აღდგენის სურვილი, ბანაზირი დაბრუნდა სამშობლოში. ქალაქ ლახორში მას მრავალი თანამემამულე შეხვდა.

ეს იყო მისი პოპულარობის დადასტურება, მაგრამ თავიდან, უცნობი პირები შეეცადნენ იარაღით შეჭრილიყვნენ მის სახლში, ხოლო შემდეგ დაცხრილულ იქნა ავტომობილი, რომლითაც ბხუტოს უნდა ემგზავრა.

როდესაც ბენაზირს ჰკითხეს ამ თავდასხმების შესახებ მან უპასუხა: "არ შეიძლება ითქვას, რომ მე არ ვილებ თავდაცვით ზომებს, თუმცა საქმე იმაშია, რომ როგორც მუსულმანები ამბობენ საბოლოოდ ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია.

ჩვენ გვწამს ბედისწერის და ვთვლით, რომ სიკვდილის მოსვლის დრო წინასწარაა განსაზღვრული, ამიტომ უსარგებლოა დაკარგო დრო იმის ფიქრზე, თუ როდის მოხდება ეს".

ამ სიტყვებში ჩანს აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ფატალიზმი. ბენაზირმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რათა გაენეიტრალებინა სასულიერო პირთა უკმაყოფილება. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სახალხო პარტიის პროგრამული დოკუმენტები მოუწოდებენ "ისლამის მაღალი იდეალების" დამკვიდრებისაკენ. ამბობენ, რომ მის ქორწინებასაც პოლიტიკური სარჩული ჰქონდა: გათხოვილი ქალი - პრემიერი უფრო მისაღებია მუსულმანთათვის. 1987 წელს ბენაზირი ცოლად გაჰყვა ბიზნესმენ აზიფ ალი ზარდადის.

ცნობა ბხუტოს ნიშნობის შესახებ წარმოადგენდა სიურპრიზს, როგორც მეგობრებისათვის, ასევე მტრებისთვისაც. ქორწილი გაიმართა კარაჩის რაიონში და წარმოადგენდა ტიპიურ ცერემონიალს, ხოლო შემდეგ მუსიკის თანხლებითა და ფეირვერკებით ღარიბთათვის გაიმართა სეირნობა.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ბენაზირი ორსულადაა და რომ ბავშვი გაჩნდებოდა ნოემბრის თვეში, ზია-ულ-ხაკმა არჩევნები ნოემბრისთვის დანიშნა. სახალხო პარტიამ განაცხადა, რომ დამთხვევა შემთხვევითი არ იყო, და რომ პრეზიდენტს სურდა ხელი შეეშალა ბხუტოსთვის. ბენაზირმა იმშობიარა სექტემბერში და მიუხედავად ამისა შესძლო ემოგზაურა ქვეყანაში, რათა გაეშალა წინასაარჩევნო კომპანია, თუმცა კენჭისყრისას ამას დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. G-130 მარკის სატრანსპორტო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად თამაშიდან ავტომატიურად გამოვიდა. გენერალი ზია-ულ-ხაკი - მისი ყველაზე შეურიგებელი და სახიფათო მტერი.

პრემიერის სავარძლის პრეტენდენტთა შორის ბენაზირი გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათითა და მიზანდასახულობით. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ იგი უდანაშაულოდ დასჯილი მამის შვილი იყო.

ვეცნობით რა ახალი პრემიერის ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ნაბიჯებს, ადვილად ვამჩნევთ, რომ იგი როგორც პოლიტიკური მოღვაწე ძლიერ გამოიცვალა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ემიგრაციაში ყოფნისას, თუ საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ, იგი ბრალს სდებდა ვაშინგტონს პაკისტანის სამხედრო დიქტატურისთვის მხარდაჭერაში, დღეს ყოველივე ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა პრემიერის სავარძელი დაკავებული როცა მან დაამყარა კონტაქტები ამერიკის საელჩოსთან და სისტემატიურად აცხადებდა თავისი სურვილის შესახებ - დაემყარებინა აშშ-სთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა.

ბანაზირი გამოიცვალა ქცევის მანერებითაც. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა, რომელმაც გამოჰკითხა პრეზიდენტის ნაცნობები, განაცხადა, რომ იგი იყო ძალზე ნერვიული ახალგაზრდა ქალი, რომელიც ლაპარაკობდა მაღალი, მკვეთრი ხმით. "ღეს იგი მრავალი ღირსებითაა დაჯილდოებული, საკმაოდ გაწონასწორებულია და რაღაცით ჩამოჰგავს ტეტჩერს.

სახალხო პარტიამ შესძლო მიეღო ამომრჩეველთა 45%-ის მხარდაჭერა და დაამარცხა ძლიერი მეტოქე - ისლამის დემოკრატიული აღიანსი, რომელმაც გააერთიანა სამხედრო რეჟიმისდროინდელი გავლენიანი მოღვაწეები.

ბხუტოს პირველი ნაბიჯები კაბინეტის ხელმძღვანელის როლში ლაპარაკობენ იმაზე, რომ სახალხო პარტიის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში აღებული ვალდებულებები შესრულებული იქნება. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ამიერიდან ნებადართული იქნება პროფკავშირების თავისუფალი მოქმედება, გაანთავისუფლა ყველა პოლიტპატიმარი, მოუხსნა ყოველგვარი ცენზურა პრესას. ასეთი რამ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ძნელი წარმოსადგენი იყო.

მოამზადა ვაჟა ქუნთელიამ

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲔᲑᲨᲘ

მოგზაურობის მიზანი შვედეთის სასამართლო ფსიქიატრიასთან გაცნობა იყო. ციხეში შესვლა შეიძლება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. საკმარისი იყო სატელეფონო ზარი: სასამართლოს ფსიქიატრს ესტონეთიდან სურს დაათვალიეროს თქვენი დაწესებულება. არც სათვალთვალო კოშკი, არც მაღალი ორმაგი კედელი, რომლის რიგებს შორის როგორც წესი ჩვენთან ძაღლები დარბიან. კარებზე საზუმერო ღილაკი და სასაუბრო მიკროფონი დამაგრებული. მოკლე დიალოგი და კარები იხსნება.

ესტერეკერის ციხე სტოგჰოლმიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული. ციხის დირექტორია ან-ბრიტ გრუნევალდი - მხიარული, ტემპერამენტიანი ქალბატონი. როგორც სჩანს ციხეებში ექსკურსია ჩვეულებრივი მოვლენაა. კორიდორებში ხალხი დადიოდა, თუმცა საკმაოდ ძნელი გასარჩევი იყო, თანამშრომლები იყვნენ ისინი თუ პატიმრები.

იქვე შევიტყვე ერთი გასაოცარი სიახლე: შეიარაღებული დაცვა აქ არ არის. სეიფებში ინახება რეზინის ხელკეტები და პისტოლეტები, რომლებიც გამოჰყოფენ ცრემლსადენ გაზს, მაგრამ ყოველივე ეს იხმარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. არავის ახსოვს ბოლოს როდის იქნა გამოყენებული ეს საშუალებები.

ესტერეკერი სახელმწიფო ციხეა. ამბობენ, რომ აქ იხდიდა სასჯელს ულოფ პალმეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი კრასტერ პეტერსონი, დანაშაულებრივი ბი-

/ დასასრული მე-4 გვ/

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ დასასრული /

ოგრაფიის მქონე ადამიანი, რომლის ბრალიც არ დამტკიცდა და შვედეთის სახელმწიფოს მოუწევს მიყენებული ზარალისათვის მისთვის 2 მილიონი კრონის გადახდა./ვის შეუძლია აუნაზღაუროს ჩვენს უდანაშაულოდ დასჯილებს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება?/ ღლის წესრიგის თანახმად პატიმრებმა დღეში 4-6 საათი უნდა იმუშაონ. ციხეებში არის სტანდარტული ზომის ფრენბურთის მოედნები და ტანვარჯიშის კეთილმოწყობილი დარბაზები. არის ბიბლიოთეკა, რადიო, ტელევიზორი, ახალი გაზეთები, მიმოწერა შეუზღუდავია.

მსჯავრდადებულების ნაწილს დასვენების დღეებში უშვებენ სახლებში. თუ რომელიმე მათგანი დააგვიანებს უკან დაბრუნებას, წესრიგის დამრღვევს მოუხდება გამოტოვებული დღეების დამატებით ანაზღაურება.

ხუდინგის 42-ადგილიანი ციხის დირექტორი ჩივის, რომ მას სთვლიან ძალზედ მკაცრად, ვინაიდან ის უბრძანებს დამით საკნების კარების ჩარაზვას. ხუდინგში ჩვენ ვისადილეთ ციხის სასადილოში. პატარა მაგიდები, ნატურალური ყავა, პიანინო კუთხეში, სადილი ძალიან გემრიელი იყო. *როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...*

სუვერენიტეტი უზბეკურად

20 ივნისს უზბეკეთის უმაღლესმა საბჭომ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია "სუვერენიტეტის" შესახებ, მაგრამ საკმარისია გადავხედოთ დეკლარაციის ბოლო, მე-12 პუნქტს, სადაც შავით თეთრზე სწერია: "ნამდვილი დეკლარაცია წარმოადგენს საფუძველს უზბეკეთის სსრ-ს ახალი კონსტიტუციის -- ახალი საკავშირო ხელშეკრულების შესამუშავებლად", რათა ნათელი გახდეს თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს დოკუმენტი.

"სუვერენიტეტის დეკლარაციის მიღებით ჩვენ არ ვაცხადებთ ჩვენი კავშირიდან გასვლის შესახებ - განაცხადა დოკუმენტის ერთ-ერთმა ავტორმა უზბეკეთის სსრ სახალხო დეპუტატმა მუხამედ საღეხმა - მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს კონფედერაციის საფუძველს".

სესიაზე დეკლარაციას აქტიურად დაუჭირა მხარი უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის "პრეზიდენტმა", კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ისლამ კარიმოვმა... როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

იძიებენ ლენინის დანაშაულებებს

21 ივნისს გაზეთ "ქრონიკის" რედაქტორმა, რსფსრ სახალხო დეპუტატმა ვიქტორ მირონოვმა, ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით, რომ დეპუტატების 50კაციან ჯგუფს უფლება ეძლევა ჩაატაროს საპარლამენტო გამოძიება, შეკრიბა საჭირო რაოდენობა დეპუტატებისა და დაიწყო შემდეგი საკითხების გამოძიება:

ა/ ლენინის მგზავრობა პლომბირებული ვაგონით;

ბ/ ბოლშევიკების ძირგამომთხრელი საქმიანობა, მიმართული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესასუსტებლად;

გ/ რუსი კომუნისტების დაფინანსება გერმანიის გენერალური შტაბის მიერ;

დ/ ოქტომბრის გადატრიალება და დამფუძნებელი კრების გარეკვა.

საინიციატივო ჯგუფი იმედოვნებს სკკპ-ს და „სუკ"-ის საიდუმლო არქივებში შეღწევას.

ფრთხილად, სახიფათოა !

18 ივნისს ლენინგრადის ტელევიზიის პოპულარული გადაცემის"600 წამის" წამყვანმა ალექსანდრე ნევროზოვმა მაყურებელს გააცნო პოლონურ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, იმის შესახებ, რომ საღეჭი რეზინა "Turbo"შეიცავს დიდი რაოდენობით კანცეროგენულ ნივთიერებებს. /კანცეროგენული ნივთიერება - მრავალბირთვიანი შენაერთია, რომელიც ხელს უწყობს სიმსივნის წარმოქმნას/. მას შემდეგ, რაც "Turbo "-ს გასაღება აკრძალულ იქნა პოლონეთში, ეს საღეჭი რეზინები დიდი რაოდენობით გამოჩნდა ჩვენს შავ ბაზარზე.

მეორე დღეს იგივე ნევროზოვმა ლენინგრადის საზოგადოებას აცნობა ტელევიზიით, რომ აღნიშნული ცნობები დადასტურდა და ამჟამად ამ საკითხს სწავლობს შსს საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება.

ვითვალისწინებთ, რა იმას, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით იყიდება აღნიშნული მარკის საღეჭი რეზინები /თუმცა ექსპერტიზის ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია/ ამ ინფორმაციის უყურადღებოდ დატოვება მიგვაჩნია უდიდეს დანაშაულად ადამიანურობის თვალსაზრისით.

მალხაზ გაჩეჩილაძე

ინფორმაცია

ჩეხოსლოვაკია, პრაღა

სოციალური გამოკითხვის დამოუკიდებელმა ჯგუფმა შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის ეკონომიკის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, 68% მოქალაქეებისა თვლის, რომ ჩეხოსლოვაკია განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩება 10-15 წლით. გამოკითხულთა 10%-ის აზრით დაწევის შანსიც არ არსებობს. შვედური ტიპის ეკონომიკის განვითარებას მხარს უჭერს მოქალაქეთა 37%, ხოლო 28% იწონებს აშშ-ს, გფრ-ს, ავსტრიისა და იაპონიის ტიპის ეკონომიკის განვითარებას.

საფრანგეთი, პარიზი

კიდევ ათმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი მიიღოს მონაწილეობა ევროპული ბანკის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მუშაობაში. ამ ბანკის დამფუძნებელია 40 ქვეყანა, მათ შორის სსრკ, აგრეთვე რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა. ბანკის პრეზიდენტია ჟაკ ატალი.

დიდი ბრიტანეთი, ლონდონი

წარმომადგენელთა პალატის წევრმა ი.უილიამსმა ქალბატონ მარგარეტ ტეტჩერს დაუსვა საკითხი, თუ რა თანხები იხარჯება მთავრობის საზღვარგარეთულ ვოიაჟებში.

ტეტჩერმა წერილობით მოხსენებაში უპასუხა, რომ 1979 წლიდან, როცა კონსერვატორულმა პარტიამ გაიმარჯვა პარლამენტურ არჩევნებში, საზღვარგარეთულ მოგზაურობებში საერთო ჯამში დაიხარჯა თითქმის 4,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

აშშ, ვაშინგტონი

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ბოიკოტი გამოუცხადა რუმინეთის პრეზიდენტის ილიესკუს მიერ ფიცის დადების ცერემონიალს. აშშ-ს ამგვარი ნაბიჯი განაპირობა ბუქარესტში დემონსტრანტების დარბევის ფაქტმა. *დემონსტრანტები* მოითხოვდნენ ილიესკუს გადაყენებას და ხელახალ, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული არჩევნების ჩატარებას. ილიესკუმ მოუწოდა მუშახტეებს დაერბიათ დემონსტრანტები, რომლებიც /მისი აზრით/ საშიშროებას უქმნიდნენ დემოკრატიას. *მუშახტეები* შეიარაღებულნი იყვნენ ხისა და რკინის ხელკეტებით. დარბევის შედეგად დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ათასობით კი მძიმედ დაშავდა, მიუხედავად ამისა, საპროტესტო აქციები ბუქარესტის უნივერსიტეტთან არ შეწყვეტილა. დემონსტრანტების დარბევამ რუმინეთის პრესტიჟს დასავლეთში დიდი ზიანი მიაყენა. ილიესკუ კვლავ მოითხოვს პარლამენტისაგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს მიეცეს საპროტესტო აქციის დარბევის უფლება, ამ მოთხოვნას პარლამენტის ქვედა პალატამ დასტური მისცა.

პროტესტანტული ეკლესიის ეპისკოპოსის ლასლო ტეკეშის აზრით რუმინეთში მწიფდება მეორე რევოლუციის პირობები. დისიდენტები კვლავ განიცდიან დევნას. ბევრი მათგანი გარბის დასავლეთში, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ახალი, დემოკრატიული რუმინეთის მშენებლობაში.

დასავლეთის შეშფოთების საგანს წარმოადგენს ის, რომ ილიესკუს დემოკრატიული პროცესების ბლოკირებით ქვეყანა მიჰყავს იმ ტიპის დიქტატურისაკენ, რაც არსებობდა ჩაუშესკუს დროს.

დუბლინი - ხიუსტონი

არის თუ არა მზად დასავლეთი ფართო ეკონომიკური თანამშრომლობისათვის სსრკ-სთან? უკანასკნელ ხანებში ამ კითხვას ხშირად სვამენ მსოფლიო პრესის ფურცლებზე და პოლიტიკურ წრეებში. ამ საკითხისადმი ინტერესი გამოიწვია საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანისა და დასავლეთ გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის წინადადებამ დაჩქარებული ეკონომიკური დახმარების შესახებ. ამ იდეამ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის ქვეყნების ლიდერებში. როგორც გფრ კანცლერმა ჰელმუტ კოლმა განაცხადა, - "გარდაქმნისადმი დახმარება, ჩვენივე თავის დახმარებაა..." აქვე უნდა აღინიშნოს ჩარლზ ჰოჰის /ირლანდიის პრემიერი, საერთო ბაზრის თავმჯდომარე/ მიერ სახელმწიფო მეთაურების დონეზე დუბლინში ჩატარებულ საერთო ბაზრის სხდომაზე გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ არსებობს გარკვეული სურვილი სსრკ-სა და გორბაჩოვისთვის დახმარებისა.

დუბლინის შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გფრ-სა და საფრანგეთის წინადადებები. ამ წინადადებებს მხარი დაუჭირეს ესპანეთმა და იტალიამ. შეიქმნა საერთო ბაზრის კომისიები, *რომლებსაც* დაევალათ სსრკ-ს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, მოხსენებების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იქნეს დაძლეული საბჭოთა ეკონომიკის სირთულეები. პარალელურად განიხილება საკითხები მოკლევადიანი კრედიტის, რომელიც შეადგენს 15 მილიარდ დოლარს, აგრეთვე ვაჭრობის გააქტიურების, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვის, სპეციალისტების მომზადების შესახებ.

იქნება თუ არა განხორციელებული დასახული გეგმები, ამას დრო გვიჩვენებს. გაზეთ "Welt am Sonntag" -ში გფრ ფინანსთა მინისტრმა ტ.ვაიგელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის სსრკ-ს აღმოუჩინოს დახმარება 5 მილიარდი მარკით, რაც მაგალითი იქნება სხვა ქვეყნებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლისა და მიტერანის წინადადებას გულგრილად შეხვდა ვაშინგტონი და ლონდონი. ჟურნალისტებთან საუბრისას ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ სსრკ-ში მიმდინარე რეფორმები "ტონობით საშუალებას" იძლევა ამერიკული კაპიტალის დაბანდებისათვის, მაგრამ ამ ეტაპზე იგი წინააღმდეგია პირდაპირი ეკონომიკური დახმარებისა. მიზეზი - ეკონომიკური რეფორმების წინსვლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

აშშ თავდაცვის მინისტრის რიჩარდ ჩეინის განცხადების თანახმად, როგორც იუწყება „NEW YORK TIMES", დახმარება სსრკ-სადმი ჩაითვლება დიდ შეცდომად, რადგან საბჭოები ამ დახმარებას გამოიყენებენ შეიარაღების გასაძლიერებლად, ამავე დროს ყოველივე ეს შეასუსტებს დაწოლას კრემლზე, რომელიც იძულებულია /ამ დაწოლის გამო/ შეამციროს თავისი შეიარაღება.

როგორც ვხედავთ აშშ და ევროპა სხვადასხვაგვარად აფასებენ სსრკ-ში წამოწყებულ ე.წ. გარდაქმნას.

ქ.დუბლინში /ირლანდია/ წამოჭრილი საკითხები განხილული იქნება ქ.ჰიუსტონში /აშშ/ შვიდეულის - აშშ, იაპონია, გფრ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია - ყველაზე განვითარებული ქვეყნების შეხვედრაზე.

დაველოდოთ შედეგებს...?

რადიო "ამერიკის ხმა", "თავისუფლება", "ფრანს ინფორმეიშენი"

მოამზადა კოტე ჩოგოვაძემ

რედაქციის გაცხადება

ქაღალდის გაძვირების და გაზეთის მაღალი თვითღირებულების გამო რედაქცია იძულებულია გაზარდოს გაზეთის ფასი, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

მომავალში რედაქცია იზრუნებს გამონახოს საშუალება გაზეთის ფასის შესამცირებლად.

ყ უ რ ა ღ ღ ე ბ ა !

კოოპერატივებსა და საწარმოებს შეუძლიათ თავიანთ საქმიანობას რეკლამა გაუწიონ გაზეთ "დროების" ფურცლებზე.

რედაქციის შენიშვნა: გაზეთის ერთ გვერდზე მოთავსებული რეკლამის ღირებულებაა /ერთი ეგზემპ./ - 30 კაპ.

1/2გვ. - 15 კაპ. 1/4გვ. - 7 კაპ. 1/8გვ. - 3 კაპ.



დროება

რედაქტორი - კოტე ჩოგოვაძე

ტექნიკური რედაქტორი - ვაჟა ძუნიელია

პასუხისმგებელი მდივანი - გია თვალავაძე

სარედაქციო კოლეგია: ეთერ კახიძე, გარიამ თურმანიძე, ლალი ძევხიშვილი, გოგიტა მელიქიძე.

ფოტოკორესპონდენტები: ლაშა გარგაძაძე, დათო გორდელაძე, გახვა ჯალაღონია, გიორგი ედილაშვილი

მისამართი: თბილისი 380008, რუსთაველის გამზ. № 29

93-70-21